KA020167188590517

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭოველიძის ქ. №10ª (ყოფილი ბელინსკი)
10ª, Chovelidze str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 2 99 11 05
Tel.: (+995 32) 2 99 11 11

№ 18/5522 **04 / სექტემბერი / 2017 წ.**

სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს
თავმჯდომარეს ბატონ ლევან რაზმაძეს

ბატონო ლევან,

მოგეხსენებათ, რომ მიმდინარე წლის 28-29 ნოემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით ქალაქ თბილისში გაიმართება ,,თბილისის აბრეშუმის გზის ფორუმი". აღნიშნული ფორუმი ხელს შეუწყობს რეგიონული სავაჭრო ურთიერთობების განვითარებას, თანამშრომლობის გაღრმავებას ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ვაჭრობის, კომუნიკაციებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროებში. ასევე, ფორუმი მიზნად ისახავს ინვესტორებსა და კომპანიებს მიაწოდოს ინფორმაცია აბრეშუმის გზის ფარგლებში თანამშრომლობის პერსპექტივების და საინვესტიციო შესაძლებლობების შესახებ. წინასწარი შეფასებით, ფორუმს დაესწრება 1000-მდე დელეგატი.

იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული საკითხი წარმოადგენს სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე ღონისძიებას, მიზანშეწონილია ფორუმის შეუფერხებლად ჩატარებისთვის საჭირო საქონლისა და მომსახურების, სპიკერების და მოდერატორების ჰონორარების და ასევე მათ ჩამოსვლასთან და უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების ასანაზღაურებლად გასაფორმებელ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული შესყიდვები განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის შესაბამისად და ამავე წესის მე-4^1 მუხლის საფუძველზე, გთხოვთ თქვენს თანხმობას, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიების შეუფერხებლად ჩასატარებლად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარებისა სამინისტრომ და სსს ,,საპარტნიორო ფონდი"-მ შესყიდვა განვახორციელოთ ერთობლივად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

პატივისცემით,

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი,
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი

ნინო მურჯიკნელი